# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 8/8
## (გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

„ 25 " ივლისი " 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი რაზმაძის სახით და მეორე მხრივ, ი/მ იმედა ჩაჩუა (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი იმედა ჩაუას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ტრენერის/ექსპერტის ტრანსპორტით მომსახურების (ტრანსფერი - ერთი გზა) (კლასიფიკატორის CPV- 60100000 კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 60171000) შესყიდვა.

2.2. დაფინანსების წყარო - მიზნობრივი გრანტი („საგრანტო ხელშეკრულება - გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია შორის მომსახურების გაწევის თაობაზე - გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი" განვითარების ხელშეწყობის" პროექტი).

### 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აგვისტომდე.

3.2. მომსახურების გაწევის ვადა: 2018 წლის 26 ივლისი სასტუმრო - აეროპორტი.

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი: სასტუმრო - აეროპორტი.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი ლარი) ლარს დღგ-ის გარეშე („საქართველოს მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის (UNDP)" 2008 წლის 3 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა სარგებლობს საგადასახადო შეღავათით და შესყიდვას ანხორციელებს დღგ-ის გარეშე. შესაბამისი სტატუსი შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე http://rs.ge/5440.)

**4.2.** ერთი ტრანსფერის ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი ლარი) ლარს დღგ-ის გარეშე.

**4.3.** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

**4.4.** ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

**4.5.** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.1.1 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ტრენერის/ექსპერტის ტრანსპორტირება: სასტუმრო - აეროპორტი.

*5.1.1.1* მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო და დროული გადაადგილება;

5.2.1უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახურების გაწევის დროს.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტები) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

**7.1.** მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებლი პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

**7.2.** შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**7.3.** მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

8. ანგარიშსწორება

**8.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის

საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

**8.2.** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**8.3.** თუ ანგარიშსწორება ბოლო ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**9.1.** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**9.2.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**10.1.** ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

**10.2.** ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

**10.3.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**11.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**11.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

**12.1.** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

**12.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

**13.1.** შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით

დადგენილ სხვა შემთხვევებში.

**13.2.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

**13.3.** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ფორს-მაჟორი

**14.1.** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

**14.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

**14.3.** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| --- | --- |
| **სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია** წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი რაზმაძის სახით.<br>**მის:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10<br>**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22. ს/კ 206348987 | ი/მ იმედა ჩაჩუა წარმოდგენილი იმედა ჩაჩუას სახით,<br>მის: სამტრედიის რაიონი, სოფელი გომი.<br>ტელ: 577464632<br>ს/კ 37001004212<br>საბანკო რეკვიზიტები:სს „თიბისის ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22; GE90TB7527045061600011 |
| გიორგი რაზმაძე | იმედა ჩაჩუა |